სიმბოლოები და ნიშნები რეცხვისთვის

რას ნიშნავს სიმბოლოები და ნიშნები რეცხვისთვის?

ქსოვილზე არსებული ეტიკეტი შეიცავს უამრავ ინფორმაციას. მაგრამ როგორც კი მიხვდებით ძირითად ლოგიკას, მისი წაკითხვა მარტივდება. რეცხვისთვის საჭირო სიმბოლოები **იყოფა 5 კატეგორიად**: რეცხვა, გათეთრება, გაუთოვება, ქიმწმენდა და შრობა.
სიმბოლოები გაჩვენებთ ქსოვილის დეტალური მოვლის ინსტრუქციას რეცხვის ყველა ფაზისთვის – ყოველთვის წაიკითხეთ ისინი, სანამ ქსოვილს სარეცხ მანქანაში მოათავსებთ.

აბაზანის ნიშანი აგიხსნით ყველაფერს **რეცხვის** შესახებ

სამკუთხედი აგიხსნით ყველაფერს **გათეთრების** შესახებ

უთო გაჩვენებთ თუ როგორ უნდა დააუთოვოთ ქსოვილი

წრე გატყობინებთ ინფორმაციას ქიმწმენდაზე

კვადრატი აგიხსნით ყველაფერს **შრობის** შესახებ

რეცხვის სიმბოლოები აგიხსნით: როგორ წაიკითხოთ თქვენი სარეცხის ეტიკეტი

ქსოვილის მოვლის ეტიკეტზე აბაზანა ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოა. ის გიხსნით თუ როგორ უნდა გაირეცხოს თქვენი ქსოვილი, რომელ პროგრამასა და ტემპერატურაზე. თუ თქვენს ქსოვილს ნაზი რეცხვის რეჟიმი სჭრდება, აბაზანის ნიშნის ქვეშ კიდევ ერთ ხაზს შენიშნავთ. ევროპაში, რეცხვის შესაბამისი ტემპერატურა პირდაპირ მინიშნებულია აბაზანაზე. თუმცა ამერიკაში, რეკომენდირებული ტემპერატურა მინიშნებულია აბაზანის შიგნით წერტილების საშუალებით. რაც უფრო მეტი წერტილია, მითითებულია მაღალი ტემპერატურა.

რეცხვის ძირითადი სიმბოლოები

არ ირეცხება
როდესაც ამ სიმბოლოს დაინახავთ თქვენს ტანსაცმელზე, სიფრთხილე გამოიჩინეთ. ტანსაცმელი ამ ნიშნით არ შეიძლება რომ გაირეცხოს სარეცხ მანქანაში. არასდროს მოათავსოთ ისინი სარეცხ მანქანაში – და არ ეცადოთ მის ხელით გარეცხვას. მათ უმეტესობას ყოველთვის სჭირდება ქიმწმენდა (იხილეთ ქვემოთ).

ხელით რეცხვა
ეს სიმბოლო მიგანიშნებთ, რომ თქვენი ტანსაცმელი ირეცხება მხოლოდ ხელით. მაგრამ არ იდარდოთ, რადგან ძალიან ბევრ სარეცხ მანქანას აქვს ხელით რეცხვის პროგრამა, რომელიც ისეთივე ნაზია, როგორც ხელით რეცხვა.

არ გაწუროთ
თუ ამ ნიშანს ხედავთ, თავი უნდა შეიკავოთ ქსოვილის გადაგრეხვისგან, რადგან ხელით ასე გაწურვა (გადაგრეხა) დააზიანებს თქვენს ქსოვილს.

ნაზი, დელიკატური რეცხვა და წურვის ციკლი

მუდმივი წურვის ციკლი
რეცხვის სიმბოლოს ქვემოთ არსებული **ერთი ხაზი/ტირე** ნიშნავს, რომ ქსოვილი უნდა გაირეცხოს **მოკლე რეცხვის ციკლზე** (მაგ: სინთეთიკის პროგრამა) ან მოკლე და დაბალი წურვის რეჟიმზე. აბაზანა ქვედა ხაზის გარეშე ნიშნავს, რომ თქვენი ქსოვლი რეცხვადია სარეცხ მანქანაში. ასეთ ნიშანს ნახავთ უფრო გამძლე ქსოვილზე, მაგალითად ჯინსებზე. რეცხვისთვის საჭირო ტემპერატურა მითითებული იქნება სიმბოლოზე (იხილეთ ქვემოთ).

ნაზი ან დელიკატური ციკლი
რეცხვის სიმბოლო ქვემოთ არსებული **ორი ხაზით** ნიშნავს, რომ თქვენს ქსოვილს სჭირდება ძალიან ნაზი რეცხვის რეჟიმი. შესაძლებელია მათი გარეცხვა, მხოლოდ ნაზ რეცხვის რეჟიმზე (მაგ: შალი)

შესაბამის სარეცხ საშუალებასთან ერთად. **მოარიდეთ გაწურვას** თუ ეს შესაძლებელია.

ნაზი რეცხვა ტემპერატურით
აბაზანა ქვემოთ არსებული ორი ან მეტი ხაზით **და ტემპერატურა** მარტივად მიგანიშნებთ, რომ თქვენი ქსოვილი უნდა გაირეცხოს ნაზად მითითებულ ტემპერატურაზე. **მოარიდეთ გაწურვას** თუ ეს შესაძლებელია.

რეცხვის ტემპერატურა

ირეცხება 30°C
რეცხვის ეს სიმბოლო ნიშნავს, რომ თქვენი ქსოვილი შესაძლებელია გარეცხოთ სარეცხ-მანქანაში, მაგრამ მხოლოდ დაბალ ტემპერატურაზე, 30 გრადუსამდე.

ირეცხება 40°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
თქვენი ტანსაცმელი რეცხვის დროს უძლებს 40°C გრადუსამდე ტემპერატურას.

ირეცხება 50°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
თუ ხედავთ ამ ნიშანს, ქსოვილი უნდა გარეცხოთ 50°C გრადუსამდე ტემპერატურაზე.

ირეცხება 60°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
თქვენი ქსოვილი ამ ნიშნით, უნდა გარეცხოთ 60°C გრადუსამდე ტემპერატურაზე.

ირეცხება 70°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
ეს რეცხვის სიმბოლო მიგანიშნებთ, რომ ქსოვილი ირეცხება 70°C გრადუსამდე ტემპერატურაზე.

ირეცხება 80°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
ეს რეცხვის სიმბოლო გატყობინებთ, რომ ქსოვილის გარეცხვა შესაძლებელია მაღალ ტემპერატურაზე, მაქსიმუმ 80°C გრადუსზე.

ირეცხება 90°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
თქვენი ქსოვილი ან ტასაცმლის ნაჭერი უძლებს 90°C გრადუსამდე ტემპერატურას.

ირეცხება 95°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
თქვენი ნივთების გარეცხვა შესაძლებელია სარეცხ-მანქანაში უმაღლეს ტემპერატურაზე: 95°C.

ამერიკული რეცხვის სიმბოლოები

ირეცხება 30°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
ამერიკაში, აბაზანის სიმბოლო ერთი წერტილით ნიშნავს, რომ თქვენი ქსოვილი შესაძლებელია გაირეცხოს მხოლოდ 30 გრადუსზე ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე.

ნაზი რეცხვა 30°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
თუ რეცხვის სიმბოლოს ქვეშ ხედავთ ხაზს და მონიშნულია მხოლოდ ერთი წერტილი, ეს ნიშნავს რომ თქვენი ქსოვილი აუცილებლად ნაზი რეცხვის რეჟიმზე უნდა გაირეცხოს.

ირეცხება 40°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
რეცხვის სიმბოლო, აბაზანა ორი წერტილით, ნიშნავს რომ ქსოვილი უნდა გაირეცხოს 40 გრადუსზე.

ირეცხება 50°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
აბაზანის სიმბოლო, სამი წერტილით ნიშნავს, რომ ქსოვილი ირეცხება ცხელ წყალში, 50 გრადუსამდე.

ირეცხება 60°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
სიმბოლო ოთხი წერტილით ნიშნავს, რომ ქსოვილის რეცხვის ტემპერატურა 60 გრადუსამდეა.

ირეცხება 70°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე
ქსოვილი რომელიც ირეცხება 70 გრადუსამდე ამერიკაში აღინიშნება აბაზანის სიმბოლოთი 5 წერტილთან ერთად.

რეცხვის სიმბოლოები წერტილებთან ერთად მიგვანიშნებს, რეცხვის ტემპერატურას 80 გრადუსზე (6 წერტილი) ან 90 გრადუსზე (7 წერტილი).

სამკუთხედი: სიმბოლოები მათეთრებლისთვის

სამკუთხედი ან მათეთრებელის სიმბოლო ტანსაცმლის ეტიკეტზე ყოველთვის აღინიშნება აბაზანის ნიშნის . მნიშვნელოვანია იცოდეთ რომ გათეთრება შესაძლებელია ორი გზით: ჟანგბადის ან ქლორის დახმარებით. თითოეულ მეთოდს აქვს თავისი ნიშანი. აქშეგიძლიათ გაეცნოთ გათეთრების სიმბოლოებს:

გათეთრება დაშვებულია
თუ თქვენი სამოსის ეტიკეტს მინიშნებული აქვს სამკუთხედი, ქსოვილის მათეთრებელში ჩადება ნებადართულია.

გათეთრება დაუშვებელია
გადახაზული სამკუთხედი ნიშნავს, რომ გათეთრება არ შეიძლება. თუ ამ სიმბოლოს ხედავთ, დარწმუნდით რომ იყენებთ კარგ სარეცხ საშალებას, რომელიც არ შეიცავს ოპტიკურ გამაღიავებელს, რომელიც ფერს დაუკარგავს თქვენს სამოსს.

არ გამოიყენოთ მათეთრებელი
"გათეთრება დაუშვებელია" ეს არის ძველი სიმბოლო, რომელიც შესაძლოა ჯერ კიდევ აღმოაჩინოთ ქსოვილის ეტიკეტზე.

მათეთრებელი ქლორის შემცველობის გარეშე
ორი დიაგნოალური ხაზი სამკუთხედში ნიშნავს, რომ შეგიძლიათ მათეთრებელში ჩადოთ ქსოვილში– უბრალოდ უნდა დარწმუნდეთ, რომ მათეთრებელი არ შეიცავს ქლორს.

ქლორიანი მათეთრებელი
ეტიკეტზე არსებულ სამკუთხედში წარწერა „CL" ნიშნავს, რომ თქვენი ქსოვილი შესაძლებელია გათეთრდეს მხოლოდ ქლორიანი მათეთრებელი საშუალებით.

უთო: სიმბოლოები გაუთოებისთვის

ქსოვილის ეტიკეტზე არსებული უთოს სიმბოლოები, თვითონ განმარტავს ყველაფერს – ის აღინიშნება უთოს ნიშნით. სიმბოლოსთან ერთად ხშირად გამოიყენება წერტილები, რომელიც მიუთითებს გაუთოების მაქსიმუმ ტემპერატურას. დეტალებს გაეცანით ქვემოთ.

არ გამოიყენოთ უთო
გადახაზული უთოს სიმბოლო ნიშნავს, რომ არ უნდა გამოიყენოთ უთო ქსოვილზე, რადგან აუცილებლად დააზიანებს.

არ გამოიყენოთ ორთქლი
თუ მხოლოდ ორთქლის ადგილია გადახაზული უთოზე, თქვენი ტანსაცმლის გაუთოება შესაძლებელია ორთქლის ფუნქციის გარეშე.

უთო ნებადართულია
უთო ეტიკეტზე ნიშნავს, რომ თქვენი ტანსაცმლის გაუთოება ნებადართულია.

გაუთოება 110°C
ეს სიმბოლო, უთო ერთი წერტილით მიგანიშნებთ ნაზ გაუთოებაზე, 110 გრადუსამდე.

გაუთოება 150°C
უთოს სიმბოლო, ორ წერტილთან ერთად მიგანიშნებთ, რომ ქსოვილი მაქსიმუმ 150°C ტემპერატურაზე უთოვდება.

გაუთოება 200°C
თუ უთოს აქვს სამი წერტილი, გაუთოება შესაძლებელია მაღალ ტემპერატურაზე - 200°C.

წრე: ქიმწმენდის ნიშანი

ცარიელი წრე ქიმწმენდის ზოგადი სიმბოლოა. მისი ვარიაციები გვაწვდის ინფორმაციას, თუ როგორ გავწმინდოთ ჩვენი სამოსი პროფესიონალურად. წრეში არსებული ასოები, გვაჩვენებს წმენდის ტიპს (სველი წნენდა, წმენდა სხვადასხვა ტიპის გამხსნელებით და სხვა). წრის ქვემოთ არსებული ხაზები მიუთითებს ნაზ მოვლას, როგორც სხვა რეცხვის ნიშნებზე. გადახაზული სიმბოლო კი ნიშნავს რომ ტანსაცმლის ქიმწმენდა დაუშვებელია.

ქიმწმენდა
წრე არის ქიმწმენდის ზოგადი ნიშანი.

ქიმწმენდა დაუშვებელია
გადახაზული წრე ნიშნავს, რომ ქიმწმენდა დაუშვებელია თქვენი ქსოვილისა და ტანსაცმლისთვის.

ქიმწმენდა ნებისმიერი გამხსნელით
წრეში "A" წრეში მიუთითებს, რომ ქიმწმენდა შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის ქიმწმენდის გამხსნელით.

ქიმწმენდა, პერქლორეთილენით (PCE)
წრეში „ P“ ნიშნავს, რომ ქიმწმენდა შესაძლოა განხორციელდეს PCE ან ნავთობის (ბენზინის) შემცველი გამხსნელით.

ქიმწმენდა, მხოლოდ ნავთობის (ბენზინის) გამხსნელით
წრეში „F“ ნიშნავს, რომ ქიმწმენდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ნავთობის (ბენზინის) შემცველი გამხსნელით.

პროფესიული სველი წმენდა
ქიმწმენდის სიმბოლო „W“ - დაშვებულია მხოლოდ პროფესიული სველი წმენდა.

წმენდის მეთოდი არ არის დაშვებული
თუ რომელიმე ქიმწმენდის მეთოდი (მაგ:W,F ან სხვა) გადახაზულია, ქსოვილზე გამოსაყენებლად ის არ არის დაშვებული.

პროფესიონალური ნაზი, სველი წმენდა
წრე „W“ და ქვედა ხაზი, ნიშნავს რომ ქსოვილზე დაშვებულია მხოლოდ ნაზი, სველი პროფესიული ქნდა.

ძალიან ნაზი, პროფესიული სველი წმენდა
წრე „W“ და ქვედა ორი ხაზი, ნიშნავს, რომ ქსოვილზე ნებადართულია მხოლოდ ძალიან ნაზი, პროფესიული სველი წმენდა.

კვადრატი: შრობის სიმბოლო

კვადრატი წრით, არის შრობის ზოგადი სიმბოლო. თუ ეს ნიშანი მითითებულია ქსოვილის ეტიკეტზე, ტანსაცმელი შეგიძლიათ საშრობში გააშროთ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადახაზულია. სხვადასხვა შრობის სიმბოლო, უზრუნველყოფს ინფორმაციას შრობის შესახებ, თუ რომელი ქსოვილი რომელ პროგრამაზე და ტემპერატურაზე გაშრობა შეგიძლიათ.

საშრობში შრობა
კვადრატში ჩახატული წრე, გატყობინებთ რომ ქსოვილი შეგიძლიათ გააშროთ საშრობ მანქანაში.

შრობა საშრობ მანქანაში დაუშვებელია
ქსოვილი, რომლის გაშრობაც არ არის შესაძლებელის საშრობში. არ მოათავსოთ ასეთი ტანსაცმელი საშრობ მანქანაში.

ჰაერზე შრობა
შრობის სიმბოლო წრის გარეშე, მიგვანიშნებს ჰაერზე გაშრობას. ასეთი ტიპის ქსოვილი უნდა გააშროთ სარეცხ თოკებზე, ან საშრობ თაროზე.